



საფუტკრე მეურნეობაში ჩასატარებელი გამოწამთრების შემდგომი სამუშაოები



გაზაფხული ფუტკრის ოჯახისთვის ყველაზე კრიტიკულ პერიოდია. ამ დროს სწორად ჩატარებული სამუშაოები ფუტკრის ოჯახის ნორმალური განვითარების საწინდარს წარმოადგენს. პასიური პერიოდის შემდეგ იწყება ოჯახის განვითარება, რაც დაკავშირებულია ფუტკრის ოჯახში ბარტყის გაჩენასთან. მოზამთრე თაობა, თავისი ჰორმონალური მდგომარეობით, წარმოადგენს ძიძა ფუტკრების კასტას. მათ ორგანიზმში საკმაოდ მაღალია ცხიმოვანი სხეული, რომლის ხარჯზეც უნდა მოხდეს ახალი თაობის გამოზრდა. კვებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახში თერმორეგულაციის შენარჩუნებას, რადგან ბარტყს სრულფასოვნად განვითარებისათვის ესაჭიროება ოპტიმალური ტემპერატურა:

35-35.5 °C.

თვეების მიხედვით საფუტკრეში ჩასატარებელი სამუშაოები

იანვარი

გუნდში მყოფ მოზამთრე ფუტკარს ბუნებაში არსებული ცვლილებები უბიძგებს გააქტიურებისაკენ, რასაც საპასუხოდ მოჰყვება დედა ფუტკრის მხრიდან კვერცხდების დაწყება (თავდაპირველად 100-200 კვერცხი). ბუნების ცვლილებებში იგულისხმება ტემპერატურული ცვლებადობა და მტვერის მომცემი მცენარეების ყვავილობა (მუშმალა, თხილი, შინდი და ა.შ.). მცენარეების ყვავილობის პერიოდი განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, დასავლეთ საქართველოშიმყვავილობა შედარებით ადრე იწყება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ფუტკრის ოჯახებში კვერცხდების დაწყება ასევე განსხვავებულია რეგიონების მიხედვით.

იანვარში აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- **ოჯახში საკვები მარაგის კონტროლი**

სკაში საკვების რაოდენობის განსასაზღვრად აუცილებელია ფუტკრის ოჯახების ზედაპირული დათვალიერება. თუ ფუტკრის გუნდი ამოსულია ზედა თამასებზე, ხოლო გუნდის ქვემოთ შეიმჩნევა ცარიელი ფიჭები - ეს მიანიშნებს ოჯახში საკვების დეფიციტზე. ფუტკრის ოჯახის დამატებით კვება ასევე საჭიროა, თუ მეფუტკრეს ზამთრის მარაგის რაოდენობაში ეჭვი ეპარება.

სურათი 1. მშვიერი ფუტკრის გუნდი, რომელიც ამოსულია ზედა თამასებზე



მშეიერ ფუტკრის ოჯახს საჭიროა მიეცეს ცომისებურ საკვები - ყანდი („ყანდი“), 500-1000 გრ-ის ოდენობით. საკვების მიცემის ინტენსივობა დამოკიდებულია ოჯახის მიერ საკვების ათვისების ტემპზე (დაახლოებით 10-14 დღე). გაითვალისწინეთ, სიცივეში ფუტკრის მასას არ შეუძლია აქტიურად გადაადგილება, ამიტომ აუცილებელია სწრაფი რეაგირება და საკვების დროულად მიწოდება. საკვები აუცილებლად უნდა მოთავსდეს ფუტკრის გუნდის ზემოდან. მისი ისეთ ადგილზე მოთავსება, სადაც გუნდი არ იმყოფება, გამოიწვევს ოჯახის შიმშილით დაღუპვას.

გაითვალისწინეთ, აკრძალულია ფუტკრის ოჯახისთვის ანტიბიოტიკებიანი ყანდისა და სიროფის მიცემა!!!

!!! გაითვალისწინეთ, რომ ანტიბიოტიკები:

- აბინძურებს პროდუქციას!
- აქვეითებს ფუტკრის იმუნიტეტს!

თებერვალი

ყვავილის მტკრის მომცემი მცენარეები აგრძელებენ ყვავილობას, კვერცხდება მატულობს. სუსტ ოჯახებს აქვთ მიდრეკილება სწრაფი განვითარებისაკენ, რაც თვითგადარჩენის ინსტიქტით არის განპირობებული.

საფუტკრის ინსპექტირებისას შეიძლება აღმოაჩინოთ შემდეგი მდგომარეობა: სუსტ ოჯახებში აღინიშნება ბარტყი, ხოლო ძლიერ ოჯახში არ დაწყებულია კვერცხდება. ეს საგანგაშო მდგომარეობად არ ჩაითვლება, თუ გაქვთ ინფორმაცია კონკრეტულ სკაში არსებული დედის მდგომარეობის შესახებ (ასაკი, ხარისხი)

თებერვალი ფუტკრის ოჯახისთვის ყველაზე კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს, ამიტომ მეფუტკრეს მართებს ყურადღების გამახვილება შემდეგ ფაქტორებზე:

- ✓ სკაში საკვები მარაგის რაოდენობა;
- ✓ ტენიანობის რეგულირება;
- ✓ სკაში არსებული მიკროკლიმატი. აუცილებელია, სუსტი ოჯახების ტიხრებს შორის მოქცევა, რათა ფუტკარმა შეძლოს ბარტყის განვითარებისათვის საჭირო მიკროკლიმატის შექმნა.

გარემოში დაბალი ტემპერატურის გამო, რეკომენდებული არ არის სკის მთლიანი გახსნა, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ქმედება უნდა განხორციელდეს ზერელე დათვალეობით - ჩარჩოების ოდნავ დაშორებით ადვილად შეიძლება სკაში არსებული მდგომარეობის აღქმა.

მარტი

აქტიურად მიმდინარეობს ფუტკრის ოჯახის განვითარება, ოჯახში იმატებს ბარტყის რაოდენობა. ამ პერიოდში აუცილებელია ბუდიდან ზედმეტი ჩარჩობის მოშორება (უვარგისი, შავი, დეფორმირებული ჩარჩობის ამოღება და ცვილად გადადნობა), რათა ფუტკარს გაუადვილდეს თერმორეგულაცია.

აუცილებელია საფუტკრე მეურნეობის სრული მონიტორინგი:

- ✓ უდედო და სუსტი (განვითარების პოტენციის არ მქონე) ოჯახებს გაერთიანება, ოღონდ დარწმუნდით, რომ ისინი დაავადებულები არ არიან;
- ✓ ბუდის შევიწროება (ცვალებადი ამინდების გამო იზრდება ბარტყის გაციების ალბათობა);
- ✓ ფუტკრის ოჯახების გამოკვება ინვერსირებული საკვებით ან შაქრის სიროფით (კონსისტენცია: 0.7 კგ შაქარი და 1 ლიტრი წყალი. საკვების მიცემის შორის ინტერვალი შეადგენს 3-5 დღეს, ხოლო მოცულობა 300-500 გრამს (დამოკიდებულია ოჯახის სიმპლერეზე). კვების დროს გარემო ტემპერატურა უნდა შეადგენდეს +15°C-ს;
- ✓ ტენის კონტროლი შესაძლებელია მარტივი მეთოდით - საფარი ტილოს ან ცელოფნის გადაკეცვით დაახლოებით 5 სმ-ით, სკის უკანა მხარეს, ისეთ ნაწილში, სადაც ფუტკარი არ იმყოფება;
- ✓ აუცილებელია ტკიპის კონტროლი. ოჯახში ტკიპის რაოდენობის განსაზღვრის მარტივი მეთოდი: 100 ცალამდე ან ცოტა მეტი ფუტკარი ჩაყარეთ პლასმასის ჭურჭელში, დააფარეთ მავთულბადიანი ხუფი და ჩაყარეთ 2 სუფრის კოვზი შაქრის პუდრა. ფუტკრის მასა მთლიანად უნდა ამოიგანგლოს პუდრაში, ამიტომ რამოდენიმე წუთის განმავლობაში ატრიალეთ პლასმასის ჭურჭელში მოთავსებული ფუტკრები და შემდეგ თეთრ ჭურჭელზე გადმოაპირქვავეთ. შაქრის პუდრასთან ერთად დაიყრება ტკიპები. 100 ცალ ფუტკარზე თუ 3 ტკიპაზე მეტი აღმოჩნდა, საჭიროა მკურნალობის დროული დაწყება.
შეგიძლიათ გამოიყენოთ ორგანული მჟავები, რომლებიც მაღალეფექტურია და არ აბინძურებს პროდუქციას.



სურათი 2. ჭურჭელი, რომლითაც შესაძლებელია ვაროს რაოდენობის კონტროლი

ვაროატოზზე ეფექტური მკურნალობისთვის აუცილებელია გაეცნოთ პრეპარატების ინსტრუქციას და დაიცვათ მისი გამოყენების დოზები და პერიოდი. მეფუტკრემ ხშირად უნდა ცვალოს ვაროატოზის საწინააღმდეგო პრეპარატები (მოქმედი ნივთიერების მიხედვით), რადგან თავიდან აიცილოს მდგრადი ტკიპის ვარიაციების წარმოქმნა.



სურათი 3. ერთჯერადი პარკის მეშვეობით სიროფის მიწოდება

ფუტკრის ოჯახის შაქრის სიროფით გამოკვება ერთჯერადი ცელოფნით (შეგიძლიათ გამოიყენოთ საკვებურებიც).



ამ პერიოდში ფუტკრის ოჯახი განვითარების პროცესშია, აუცილებელია ბუდის გაფართოების დაწყება.

ბუდის გაფართოება: (გაითვალისწინეთ, სხვადასხვა რეგიონში

ბუდის გაფართოება სხვადასხვა დროს არის შესაძლებელი)

✓ ბუდის გაფართოების დროს აუცილებელია ოჯახში აქტიურად შედიოდეს ყვავილის მტვერი (ცილოვანი საკვები ხელს უწყობს საცვილე ჯირკვლების გააქტიურებას), ასევე შესაძლებელია ინვერსირებული საკვებით ან შაქრის სიროფით ფუტკრის გამოკვება (შაქრის სიროფი 1:1-ზე მომზადებული კონსისტენციით).

✓ როდესაც ფუტკრის ოჯახში შეიქმნება სიმჭიდროვე, ეს გახლავთ ფიჭების მშენებლობის დაწყების სიგნალი. ასაშენებელი ჩარჩო უნდა მოთავსდეს ბოლო ბარტყიანი ჩარჩოს გვერდით. ფიჭების მიცემის რაოდენობა განისაზღვრება ოჯახის სიმპლიერისა და ცვილის გამოყოფის უნარით (ერთ ჯერზე შესაძლებელია 1-3 ასაშენებელ ჩარჩოს მიცემა, ოჯახის მდგომარეობის და ბუნებრივი პირობების შესაბამისად). მშენებლობისთვის აუცილებელია გარემოში ოპტიმალური ტემპერატურა იყოს +20°C.

✓ საჭიროა ოჯახების შაქრის სიროფით გამოკვება (1:1-ზე კონსისტენცია).



სურათი 4.

ჩარჩოზე ფუტკრების
სიმჭიდროვე -
მეფუტკრისთვის ნიშანი
ასაშენებელი ჩარჩოების
მიცემაზე

მაისი

ოჯახების განვითარება პიკს აღწევს. ამ პერიოდში, კლიმატური პირობებისა და ოჯახის სიძლიერის შესაბამისად, აუცილებელია ბუდის გაფართოება, რაც გულისხმობს ზემოდან მაღაზიებისა და კორპუსების დადგმას. ოჯახების სისტემატიური გამრავლების შემდგომ საჭიროა შეიქმნას ახალი ოჯახები (აგარიდებთ ნაყრიანობას საფუტკრეში). ამის საშუალებით ძლიერ ოჯახებს ბარტყთან ერთად მოაშორებთ ტკიპების დიდ ნაწილს (უდედო პერიოდი სკაში გვიქმნის ვაროასთან ბრძოლის შესაძლებლობას), ნაყრიანობის შემთხვევაში გეძლევათ შესაძლებლობა „ნაყარი“ ოჯახები დაამუშაოთ ვაროატოზზე.

ზოგადი რეკომენდაციები

➤ აუცილებელია, საფუტკრე მეურნეობაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ფუტკრის დაცვას საზოგადოებრივი (ეზოს) ტუალეტებისგან, ასევე საფუტკრეების მორიდებას შინაური ცხოველების (საღორეები, საქათმეები და ა.შ.) სადგომებისაგან. ეს ფაქტორები ხშირ შემთხვევაში თაფლის სხვადასხვა ნარჩენებით დაბინძურების მიზეზად გვევლინება, მათ შორის, არის რისკი სკაში ანტიბიოტიკების შეტანის, ვინაიდან შინაური ცხოველებისთვის ხშირად გამოიყენება ანტიბიოტიკებით გაჯერებული სასმელი წყალი.

ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხეების შესამცირებლად აუცილებელია საფუტკრეში რეგულარულად იდგეს მინერალური მარილებით/ან უბრალო სუფრის მარილით გაჯერებული სასმელი წყალი (10 ლ წყალზე 1 გ მარილი).

➤ აუცილებელია სკის გასუფთავება ზამთარში დაგროვილი ჭუჭყის, დახოცილი ფუტკრის, ფსკერზე ჩამოყრილი დანესტიანებული ჭეოსა და სანთლის ნამცეცებისაგან.